წერილის ნომერი: **18-01223431506**
თარიღი: **09/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01223412228
წერილის თარიღი:	07 დეკემბერი, 2022
განმცხადებელი:	პაატა მჭედლიძე
განაცხადის N	AR1930741
მისამართი	ქ. თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა #7
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.15.006.060
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ჰაი თაუერ“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“

109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული 11 ძირი მწვანე ნარგავის (თხილი #6-D=4-8; #12-D=4-8; #13-D=4-8; კვიდო #8-D=14.3; #9-D=7.6; #10-D=8.3; #11-D=11.5; კაკალი #23-D=7.0; თუთა #36-D=23.9; დაფნა #28-D=12,7; #29-D=3.2) ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ინფორმაციული წერილით სამსახურს მომართავს გადარგვის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.***

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება (6)-ს; მათი (#5; #7; #25; #26; #27; #35) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

საპროექტო არეალში არსებულ დანარჩენ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურმა 2022 წლის 6 ივნისის #18-01221573701 წერილით უკვე დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

ინფორმაციული

სამსახურის პოზიცია, ნარგავ(ებ)ის გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და გადარგვის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობებს დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ

გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლეს არანაკლებ 3 მ., მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3,5 მ., მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შპს დემასო ვუდ 1

ს/კ 400331716

DEMASO WOOD 1

07.12.2022

შპს “ჰაი თაუერსს”

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისში, ზურაბ და თეიმურად ზალდასტანიშვილების ქუჩის N7 მისამართზე, ს/კ 01.10.15.006.060 მიწის ნაკვეთის საექსპერტო დასკვნაში №2210-882 დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: N23 კაკლის ხეზე. აქედან გამომდინარე მოხდა N23 ხე-მცენარის პარამეტრების შეცვლა, რაც აისახა საექპერტო დასკვნის 2212-093 დოკუმენტაციაში.

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

თბილისი, ც. დადიანის გამზ. № 34, ბინა 2 • App. 2, 34 Ts. Dadiani Avenue, Tbilisi, Georgia

✆ (+995) 593 18 18 70 • ✉ demasowood@gmail.com

დოკ. №: 2212-093

თარიღი: 07.12.2022

DEMASO WOOD 1

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა, N:7	*01.10.15.006.060*	*შპს "ჰაი თაუერ"*	*1721 მ²*

შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა: ***40 ერთეული** **

რაოდენობები დეტალურად	*სულ*	*ხილკენკრ.*	*ბუჩქები*	*სხვა ხეები*
*ერთეულების * (ნომრების) რაოდენობა*	*40*	*21*	*5*	*14*
ინდივიდუალურად შეფასებული მცენარეები	*38*	*19*	*5*	*14*
ერთიანად შეფასებული ჯგუფები	*2*	*2*	*-*	*-*
ჯგუფების შემადგენელი მცენარეები	*13*	*13*	*-*	*-*
ინდ. შეფასებული + ჯგუფების შემადგენელი	*51*	*32*	*5*	*14*

*** ერთეული** - ინდივიდუალურად შეფასებული მცენარე ან მცენარეთა ჯგუფი, რომელსაც, დოკუმენტაციაში მოსახსენიებლად, შეფასებისას მიენიჭა ერთი უნიკალური ნომერი.

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი 1
დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი 1
ტერიტორიის აღწერა 1
ჩატარებული სამუშაო 1
მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით 1
მცენარეთა მდგომარეობა და გადარგვის შესაძლებლობა 2
დასკვნა 3
დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი
დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD
DEMASO WOOD 1
400331716

შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩის N7 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.10.15.006.060 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.06.2022 №11-58 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 1721 მ^2.

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6).

ჩატარებული სამუშაო

2021 წლის 16 დეკემბერს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.10.15.006.060 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება.

შეფასებისას, მცენარეთა აღწერა მოხდა:

- ინდივიდუალურად (განცალკევებით), ან
- ჯგუფურად (ვაზის ტალავერის ან ერთიანი ამონაყარის სახით).

ჯგუფურად აღიწერა ვაზის ტალავერის შემადგენელი ვაზის (Vitis vinifera) ძირები, ასევე, ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს (ჯგუფის ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდი, ერთიან ამონაყარად განხილული, ერთი და იგივე სახეობის 8 სმ-მდე ღეროს დიამეტრის ხე-მცენარეები.

შეფასებისას, განცალკევებით აღწერილ **თითოეულ ინდივიდს და** ასევე, ვაზის ტალავერის ან ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ მცენარეთა **თითოეულ ჯგუფს მიენიჭა უნიკალური ნომერი**. თითოეული მცენარე ან ჯგუფი ამ ნომრით მოიხსენიება წინამდებარე დოკუმენტში და მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციასა და ნახაზებზე.

თითოეული უნიკალური ნომრის შესაბამისი მცენარე ან ჯგუფი წინამდებარე დოკუმენტში მოიხსენიება ***“ერთეულად”*** და მცენარეთა რაოდენობები ძირითადად ამ ერთეულთა რაოდენობების სახით არის მოცემული.

თითოეული ერთეულისთვის (მცენარისთვის ან ჯგუფისთვის) აღებულ იქნა სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა მისი დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები იხილეთ მცენარეთა შეფასების უწყისში (დანართი 1).

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

შეფასებული **40 ერთეული** მოიცავს ინდივიდუალურად აღწერილ **38 მცენარეს** და ტალავერის ან ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილ მცენარეთა **2 ჯგუფს**. ისინი სახეობებისა და ნომრების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (ჯგუფების ნომრებს ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობა):

- **21 ერთეული (1 ზეხმელი) – ხილკენკროვანი სახეობები**
  20 ჯანსაღი ხილკენკროვნიდან 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 9 ინდივიდი (NN 1, 2, 3, 4, 19, 20, 21, 25, 34). სულ ხილკენკროვნები:
  - 1 კომში (Cydonia oblonga) N 2
  - 2 აღმოსავლური ხურმა (Diospyros kaki) NN 3, 4
  - 1 მუშმალა (Eriobotrya japonica) N 27
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 25
  - 2 ვაშლი (Malus domestica) NN 22, 39
  - 3 ჭერამი (Prunus armeniaca) NN 19, 20, 21
  - 9 ქლიავი (Prunus domestica) NN 26, 30, 31, 34, 35 (4 ძირი, ზეხმელი), 37
  - 3 ბროწეული (Punica granatum) NN 5, 7, 33
  - 1 მსხალი (Pyrus) N 1
  - 9 ვაზი (Vitis vinifera) N 32 (9 ძირი)
- **5 ერთეული – ბუჩქოვანი სახეობა**
  - 5 კვიდო (Ligustrum) NN 8, 9, 10, 11, 16
- **9 ერთეული – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 1 კატალპა (Catalpa) N 38
  - 3 თხილი (Corylus avellana) NN 6, 12, 13
  - 5 თუთა (Morus) NN 14, 17, 24, 36, 40

- **5 ერთეული – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 18, 23
  - 3 დაფნა (Laurus nobilis) NN 15, 28, 29

მათ შორის, **5 ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს:**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 18, 23
  - 3 დაფნა (Laurus nobilis) NN 15, 28, 29

ჯგუფურად (ვაზის ტალავერის ან ერთიანი ამონაყარის სახით) აღიწერა შემდეგი 2 ერთეული (ნომრების შემდეგ, ფრჩხილებში წერია ჯგუფის შემადგენელი მცენარეების რაოდენობები)**:**
  - 1 ქლიავი (Prunus domestica) N 35 (4)
  - 1 ვაზი (Vitis vinifera) N 32 (9)

განცალკევებით აღწერილი ინდივიდებისა და ტალავერის ან ერთიანი ამონაყარის სახით აღწერილი ჯგუფების რაოდენობები სახეობებისა და სახეობათა ჯგუფების მიხედვით მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. რაოდენობები სახეობათა მიხედვით. *ერთეულების, ცალკე აღწერილი ინდივიდების, ჯგუფების და ჯგუფების შემადგენელი მცენარეების რაოდენობები.*

N	სახეობათა ჯგუფი / სახეობა	ერთეულების (ნომრების) რაოდენობა			ჯგუფებში შემავალი მცენარეები
		ყველა ერთეული	ცალკეული ინდივიდები	მცენარეთა ჯგუფები	
I.	*ხილკენკროვნები*	21	19	2	13
1	კომში (Cydonia oblonga)	1	1	-	-
2	აღმოსავლური ხურმა (Diospyros kaki)	2	2	-	-
3	მუშმალა (Eriobotrya japonica)	1	1	-	-
4	ლეღვი (Ficus carica)	1	1	-	-
5	ვაშლი (Malus domestica)	2	2	-	-
6	ჭერამი (Prunus armeniaca)	3	3	-	-
7	ქლიავი (Prunus domestica)	6	5	1	4
8	ბროწეული (Punica granatum)	3	3	-	-
9	მსხალი (Pyrus)	1	1	-	-
10	ვაზი (Vitis vinifera)	1	-	1	9
II.	*ბუჩქოვანი სახეობები*	*5*	*5*	-	-
1	კვიდო (Ligustrum)	5	5	-	-
III.	*დაბალი ღირებ. ფოთლოვნები*	9	9	-	-
1	კატალპა (Catalpa)	1	1	-	-
2	თხილი (Corylus avellana)	3	3	-	-
3	თუთა (Morus)	5	5	-	-
IV.	*მაღალი ღირებ. ფოთლოვნები*	*5*	*5*	-	-
1	კაკლის ხე (Juglans regia)	2	2	-	-
2	დაფნა (Laurus nobilis)	3	3	-	-
	ჯამი	***40***	***38***	***2***	***13***

მცენარეთა მდგომარეობა და გადარგვის შესაძლებლობა

შეფასებული 40 ერთეულიდან 39 არის ჯანსაღი, ხოლო 1 - ქლიავი N35 - ზეხმელი.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) არახილკენკროვან მცენარეთაგან შეიძლება დაექვემდებაროს 19 ერთეული, რომლებიც მოიცავს შემდეგ ნომრებს: 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 23, 24, 28, 29, 36, 38, 40.

მათგან, 16 ერთეულის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები, ხოლო 3 არის დიდტანიანი (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი). იხილეთ ცხრილი 2

ცხრილი 2. *გადარგვადი მცენარეების ნომრები და რაოდენობები სახეობების მიხედვით.*

N	სახეობა	რაოდ.	მცენარეთა ნომრები
25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მცენარეები (16 ერთეული)			
1	კვიდო (Ligustrum)	5	8, 9, 10, 11, 16
2	კატალპა (Catalpa)	1	38
3	თხილი (Corylus avellana)	3	6, 12, 13
4	თუთა (Morus)	2	17, 36
5	კაკლის ხე (Juglans regia)	2	18, 23
6	დაფნა (Laurus nobilis)	3	15, 28, 29
დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) მცენარეები (3 ერთეული)			
1	თუთა (Morus)	3	14, 24, 40

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2021 წლის 16 დეკემბერს, თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩის N7 მისამართზე, შპს "ჰაი თაუერსის" საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.10.15.006.060 მიწის ნაკვეთზე, მცენარეების ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

მცენარეთა რაოდენობები გამოსახულია "ერთეულებში". "ერთეულში" იგულისხმება ან განცალკევებით აღწერილი მცენარე ან ერთიანი ჯგუფის სახით აღწერილ მცენარეთა ერთობლიობა. თითოეულ ერთეულს შეესაბამება შეფასებასას მისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი, რომლითაც იგი მოიხსენიება წინამდებარე დასკვნასა და სხვა დოკუმენტაციაში.

ერთიანად აღწერილ მცენარეთა ჯგუფების ნომრებს, ფრჩხილებში უწერია შემადგენელ მცენარეთა რაოდენობები.

1. ერთეულების, ცალკე აღწერილი მცენარეების და ჯგუფების რაოდენობები. სულ, შეფასდა 40 ერთეული: 38 ცალკე აღწერილი ინდივიდი და 2 ჯგუფი.

2. ჯგუფურად აღწერილი მცენარეები. ჯგუფურად აღწერილი 2 ერთეული წარმოადგენს 1 ვაზის ტალავერის შემადგენელი ინდივიდების 1 ჯგუფს და ასევე, ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს (ჯგუფის ცენტრიდან 1 მეტრის რადიუსში) მოზარდ, ერთიან ამონაყარად განხილულ, ერთი და იგივე სახეობის 8 სმ-მდე ღეროს დიამეტრის ხე-მცენარეთა 1 ჯგუფს:
- 1 ქლიავი (Prunus domestica) N 35 (4)
- 1 ვაზი (Vitis vinifera) N 32 (9)

3. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 40 ერთეულიდან 39 არის ჯანსაღი, 1 - ზეხმელი. მათ შორის:
- 21 ერთეული - ხილკენკროვანი (1 ზეხმელი)
- 5 ერთეული - ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 9 ერთეული - დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)
- 5 ერთეული - მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)

4. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეები. 5 შეფასებული ერთეული წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს:
- 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 18, 23
- 3 დაფნა (Laurus nobilis) NN 15, 28, 29

5. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 1 არაჯანსაღი (ზეხმელი) ერთეული, კერძოდ:
- 1 ქლიავი (Prunus domestica) N 35 (4)

6. 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ჯანსაღი ხილკენკროვნების რაოდენობა და ნომრები:
- 9 ერთეული. NN 1, 2, 3, 4, 19, 20, 21, 25, 34

7. გადარგვადი მცენარეები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) არახილკენკროვან მცენარეთაგან შეიძლება დაექვემდებაროს 19 ერთეული, რომლებიც მოიცავს შემდეგ ნომრებს: 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 23, 24, 28, 29, 36, 38, 40. მათგან, **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 3 ერთეული:**
- 3 თუთა (Morus) NN 14, 24, 40

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერიაში წინამდებარე დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

№2212-093 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.10.15.006.060

მისამართი:	თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა, N7
საკადასტრო კოდი:	01.10.15.006.060
ფართობი:	1721 მ^2
მესაკუთრე:	შპს “ჰაი თაუერ” (ID № 405496743)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	16.12.2021
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	მსხალი (Pyrus)	28	24.2	6	საღი/ ხილკენკრ.
2	კომში (Cydonia oblonga)	17.5	11.8	4	საღი/ ხილკენკრ.
3	ხურმა (Diospyros kaki)	19.1	15.9	5	საღი/ ხილკენკრ.
4	ხურმა (Diospyros kaki)	20.7	15.9	5	საღი/ ხილკენკრ.
5	ბროწეული (Punica granatum)	11.8	9.6	5	საღი/ ხილკენკრ.
6	თხილი (Corylus avellana)	4-8		5	საღი/ გადარგვადი
7	ბროწეული (Punica granatum)	8.0	5.4	4	საღი/ ხილკენკრ.
8	კვიდო (Ligustrum)	14.3	11.1	5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
9	კვიდო (Ligustrum)	7.6	5.4	5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
10	კვიდო (Ligustrum)	8.3	5.7	5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
11	კვიდო (Ligustrum)	11.5	8.6	5	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
12	თხილი (Corylus avellana)	4-8		3	საღი/ გადარგვადი
13	თხილი (Corylus avellana)	4-8		5	საღი/ გადარგვადი
14	თუთა (Morus)	48	45	10	საღი/ გადანაბელი/ გადარგვადი
15	დაფნა (Laurus nobilis)	11.1	5.4	5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
16	კვიდო (Ligustrum)	13.7	8.0	5	საღი/ გადარგვადი
17	თუთა (Morus)	12.7	9.6	5	საღი/ გადარგვადი
18	კაკლის ხე (Juglans regia)	19.7	14.3	6	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
19	ჭერამი (Prunus armeniaca)	32	29	8	საღი/ ხილკენკრ.
20	ჭერამი (Prunus armeniaca)	19.1	17.5	6	საღი/ ხილკენკრ.
21	ჭერამი (Prunus armeniaca)	86	64	4	საღი/ ხილკენკრ.
22	ვაშლი (Malus domestica)	8.0	5.4	5	საღი/ ხილკენკრ.
23	კაკლის ხე (Juglans regia)	7.0	4.8	2.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
24	თუთა (Morus)	30	27	6	საღი/ გადარგვადი
25	ლეღვი (Ficus carica)	19.1	17.5	5	საღი/ ხილკენკრ.
26	ქლიავი (Prunus domestica)	9.2	8.0	5	საღი/ ხილკენკრ.
27	მუშმალა (Eriobotrya japonica)	8.0	4.8	3	საღი/ ხილკენკრ.
28	დაფნა (Laurus nobilis)	12.7	6.4	5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
29	დაფნა (Laurus nobilis)	3.2	1.3	2	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
30	ქლიავი (Prunus domestica)	9.6	7.0	3	საღი/ ხილკენკრ.
31	ქლიავი (Prunus domestica)	5.1	3.8	3	საღი/ ხილკენკრ.
32	ვაზი (Vitis vinifera)	4-8		1	საღი/ 9 ძირი/ ტალავერი/ ხილკენკრ.
33	ბროწეული (Punica granatum)	10.2	5.4	4	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.
34	ქლიავი (Prunus domestica)	20.7	19.1	6	საღი/ ხილკენკრ.
35	ქლიავი (Prunus domestica)	4-8		3	ზეხმელი/ 4 ძირი/ ხილკენკრ.
36	თუთა (Morus)	23.9	19.7	8	საღი/ გადარგვადი
37	ქლიავი (Prunus domestica)	8.0	6.4	5	საღი/ ხილკენკრ.
38	კატალპა (Catalpa)	8.0	6.4	5	საღი/ გადარგვადი
39	ვაშლი (Malus domestica)	8.6	4.8	3	საღი/ ხილკენკრ.
40	თუთა (Morus)	46	34	7	საღი/ გადანაბელი/ გადარგვადი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ 1*

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.10.15.006.060



№1



№2



№3



№4




№5



№6



№7



№8



№9



№10



№11



№12



№13



№14



№15



№16



№17



№18



№19



№20



№21



№22



№23



№24



№25



№26



№27



№28



№29



№30



№31



№32



№33



№34



№35



№36



№37



№38



№39



№40

გამწვანების პროექტი

დოკ. № 2211-732 • თარიღი: 29.11.2022



მისამართი: **თბილისი, ქუჩა დელისი, N1ა, დელისის ქუჩა N1-სა და N1ა-ს შორის, N1ა-ს მიმდებარედ**

საკადასტრო კოდი: **01.10.15.006.060**

საპროექტო ტერიტორიის ფართობი: **1721 მ²**

კ-3 კოეფიციენტი: **0.3**

საპროექტო გამწვანება: **476.7 მ²**

არსებული მცენარეები: **40** (შესანარჩუნებელი - 9, გადასარგავი - 11, მოსაჭრელი ხილკენკროვნები - 20)

დასარგავი ნერგები: **7**

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: **2025 წ.**

მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: **მალხაზ საბაძე**

მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: **3 წელი**

დამკვეთი: მალხაზ საბაძე

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

ლევან გოშაძე _____ ექსპერტი

ემზარ შარია _____ დირექტორი

ნინო გოგოსაშვილი _____ არქიტექტორი

შპს "დემასო ვუდ 1" ★ DEMASO WOOD 1 LTD 400331716

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი განკარგვა

ფორმატი A3

შესანარჩუნებელი მცენარეები - 9

ცხრილი №1

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
39	ვაშლი (Malus domestica)	1
38	კატალპა (Catalpa)	1
18	კაკლის ხე (Juglans regia)	1
15	დაფნა (Laurus nobilis)	1
16	კვიდო (Ligustrum)	1
14, 17, 24, 40	თუთა (Morus)	4

გადასარგავი მცენარეები - 11

ცხრილი №2

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
6, 12-13	თხილი (Corylus avellana)	3
23	კაკლის ხე (Juglans regia)	1
28, 29	დაფნა (Laurus nobilis)	2
8-11	კვიდო (Ligustrum)	4
36	თუთა (Morus)	1

მოსაჭრელი ხილკენკროვნები - 20

ცხრილი №3

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
2	კომში (Cydonia oblonga)	1
3-4	ხურმა (Diospyros kaki)	2
27	მუშმალა (Eriobotrya japonica)	1
25	ლეღვი (Ficus carica)	1
22	ვაშლი (Malus domestica)	1
5, 7, 33	ბროწეული (Punica granatum)	3
19-21	ჭერამი (Prunus armeniaca)	3
26, 30-31, 34-35, 37	ქლიავი (Prunus domestica)	6
1	მსხალი (Pyrus)	1
32	ვაზი (Vitis vinifera)	1

მცენარეთა განლაგება
მ 1:200



შენიშვნები:
- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" N2112-251 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: მალხაზ საბაძე

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

ფორმატი A3

მცენარეთა საპროექტო განლაგება - შესანარჩუნებელი, გადასარგავი და დასარგავი მცენარეები

გენგეგმა
მ 1:200

შესანარჩუნებელი მცენარეები - 9
ცხრილი №4

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდენობა
ხილკენკროვნები				
	39	ვაშლი (Malus domestica)	8.6	1
ბუჩქები				
	16	კვიდო (Ligustrum)	13.7	1
დიდ ვარჯიანი ხეები				
	38	კატალპა (Catalpa)	8.0	1
	18	კაკლის ხე (Juglans regia)	19.7	1
	15	დაფნა (Laurus nobilis)	11.1	1
	14	თუთა (Morus)	48	1
	17	თუთა (Morus)	12.7	1
	24	თუთა (Morus)	30	1
	40	თუთა (Morus)	46	1

გადასარგავი მცენარეები - 11
ცხრილი №5

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდენობა
ბუჩქები				
	8	კვიდო (Ligustrum)	14.3	1
	9	კვიდო (Ligustrum)	7.6	1
	10	კვიდო (Ligustrum)	8.3	1
	11	კვიდო (Ligustrum)	11.5	1
მცირე ვარჯიანი ხეები				
	6, 12-13	თხილი (Corylus avellana)	4-8	3
დიდ ვარჯიანი ხეები				
	23	კაკლის ხე (Juglans regia)	22.0	1
	28	დაფნა (Laurus nobilis)	12.7	1
	29	დაფნა (Laurus nobilis)	3.2	1
	36	თუთა (Morus)	23.9	1

დასარგავი მცენარეები - 7
ცხრილი №6

მცენარის დასახელება და პირობითი აღნიშვნა	რაოდენობა	ღეროს მინ. გარშემოწერილობა (სმ)	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum)	2	20-22	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
იტალიური ფიქტი (Pinus pinea)	5	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	

შენიშვნები:
- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" N2112-251 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: მალხაზ საბაძე

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

აქსონომეტრიული ხედი

ფორმატი A3



დამკვეთი: მალხაზ საბაძე

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

აქსონომეტრიული ხედი

ფორმატი A3



დამკვეთი: მალხაზ საბაძე

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

გამწვანების ფართობი: 476.7 მ^2 (კ-3 = 0.3)

შესანარჩუნებელი მცენარეები - 9

ვაშლი (Malus domestica) - 1
კატალპა (Catalpa) - 1
კაკლის ხე (Juglans regia) - 1
დაფნა (Laurus nobilis) -1
კვიდო (Ligustrum) - 1
თუთა (Morus) - 4

გადასარგავი მცენარეები - 11

თხილი (Corylus avellana) - 3
კაკლის ხე (Juglans regia) - 1
დაფნა (Laurus nobilis) - 2
კვიდო (Ligustrum) - 4
თუთა (Morus) - 1

დასარგავი მცენარეები - 7

დასახელება	რაოდენობა	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	ღეროს მინ. გარშემოწე-რილობა (სმ)
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	5	5	3	20-22
ქართული ნეკერჩხალი (Acer monspessulanum)	2	5	3.5	20-22

საკადასტრო კოდი: 01.10.15.006.060
ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი

ნარგავების მოვლა-პტრონობაზე პასუხისმგებელი:
მალხაზ საბაძე

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2022 წ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2025 წ.



